




წამოყალიბდა 1919 წლის 26 მაისს



ფუტბოლის საერთაშორისო-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1980 წლის 1 მაისიდან

ზმა მივცეთ ნათელ მომავალს

ვის შეეძლო წარმოედგინა, რომ ქვეყანაში, სადაც 70 წლის მანძილზე იდევნებოდა თავისუფალი აზრი, გაბატონებული იყო ტოტალიტარული რეჟიმი, სადაც ყველა და ყველაფერი დიქტატს ემორჩილებოდა, ასე თავისუფლად გაესწებოდა გზა დემოკრატიას.

28 ოქტომბერს ჩვენს რესპუბლიკაში პირველად გამართულ მრავალპარტიული არჩევნების ჩატარების შემდეგ ქართველმა ხალხმა ნამდვილად დემოკრატიულ საწესებრე აირჩია ეროვნული პარლამენტი, ხალხმა რესპუბლიკის მართვა მთავრობის ეროვნული მოძრაობის შედროულს ზვიად გამსახურდიას.

ხვალ უფრო დიდი გამოცდა ელის საქართველოს. სიმბოლურია რომ არჩევნების დღედ დანიშნული 28 მაისი დაემთხვა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს, რომელიც ქართველმა ხალხმა იზეიმა ჯერ კიდევ 1918 წელს.

ხალხი ბრძენია და არ შეცდება არჩევანში, ისევე როგორც 28 ოქტომბერს აშტრადაც გონივრულად შეაფასებს შექმნილ ვითარებას, პრეზიდენტის პოსტზე აირჩევს ღირსეულთა შორის ღირსეულს და ამით იგი ხმას მისცემს ჩვენს ხვალისდელ დღეს, ნათელ მომავალს.

ხვალ პრეზიდენტის არჩევნების დღეა. ვიყოთ ერთსულოვანი, ხმა მივცეთ მხოლოდ ღირსეულს!

28 მაისი მერაბ კოსტავას დაბადების დღეა!

„ბრალის მცველი, დვთისაგან ცხეპული“...

ვარდობისთვის სუნი ტრაილ-ებს საქართველოში. ეს ვარდობისთვის განსაკუთრებულია ჩვენთვის. ამ ვარდობისთვის ჩვენ თავისუფალ საქართველოში ვხვდებით, ვხვდებით და რომ არა უჩვეულო ბედისწერა—28 მაისს დაბადების დღეს თავისუფალ საქართველოში მივულოცავდით დიდ მამულიშვილსა და გმირ რაინდს...

მერაბ კოსტავა, მთელი მინი ცხოვრება საქართველოსთან არის დაკავშირებული. სწორედ საქართველოს აწმყოსა და მომავალზე ფიქრმა გაათეთრა, მისმა ღარღმა დააღონა მისი ნათელი სახე. რა სიმწარე არ ნახა წუთისოფლისგან, ბევრი ცუდიც შეჰქადარეს, ჯოჯობეთის ჭურღმულელებიც გამოუვლია, მაგრამ არასოდეს გატეხილა, მისი მადალი სული არ შედრქა და ბოლომდე დარჩა სამშობლოსთვის მსახურების უბადლო მგაღლით-

ად. მისი ცხოვრების მიზანიც ხომ ეს იყო:

„უფალს ღირს მყავ ჩემი ერისთვის არ შეეგებო ხვედრის სიმძიმეს“. მისი დეაწლი წმინდა ლამარით ანათებს გზას და უნათებს უკან მავალთ. ეს გზა თავისუფლების ბოლომდე გამარჯვების გზაა.

როგორ მიიბიჭებდა ამ გზაზე ამაყად და მხნედ. დაუნდობელმა ბედისწერამ თუ შემთხვევითობამ შეაჩერა მისი გულისცემა, იმ გულისა, რომელშიც ასე სათუთად ატარებდა მამულის სიყვარულს. მან მხოლოდ ფერი იცვალა, თორემ კვლავ ცოცხლობს საყვარელ ერში, ვითარცა „ბრალის მცველი, დვთისაგან ცხეპული“.

მარტია გაბათავა, ხვალსოფლის საშუალო სკოლა ინტერნატის მოსწავლე.

ის ჩვენა ვიღვითა ვიღვითა თარაღა

ქართველი კაცის შემეცნებაში 28 მაისი განსაკუთრებულ ადგილს იჭერს. ამ თარიღის ხსენებისას ყოველი ჩვენგანის მეხსიერებაში წამოიშლება ამ საუკუნის ათიანი წლების ტრაგიკული კოლიზიები. რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ ათასგზის ნაწამები და გვეშული ერი, „მეგობრობის ტრაქტატის“ მიერ აბურად ავღებული და ღირსება შელახული, ერთი წუთითაც არ უხრ. იდა ქედს მონობის უღელს. შინაგანად საზოგადოების ყველა ფენა გამსჭვალული იყო ცარიშმის სულიშემეხუთველ რეჟიმთან შეურიგებლობის სულისკვეთებით. სწორედ ამ პერიოდში აწვირთდა მშრომელთა ფართო ფენების შობაობა, რომელშიაც გამოიკვეთა ორი მიმართულება: კლასობრივი და ეროვნული. ქართველი სოციალ-დემოკრატების დროშაზე ეწერა სოციალური სამართლიანობისა და მსოფლიოს ყველა პროლეტართა სოლიდარობისათვის ბრძოლისაკენ მოწოდება. ხოლო ქართველთა ეროვნულ-გამანათავისუფლებელი მოძრაობის მედაფე დიდი ილია და მისი თანამოაზრენი ხსნას ხედავდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენებასა და დემოკრატის განვითარებაში.

იმუამინდელი ისტორიული კატაკლიზმების დინამიკა ყველას მოგვეხსენება. ამ საოცრად დაძაბულ ატმოსფეროში მაინც მონერხდა ისტორიული მნიშვნელობის პროგრესული აქტის განხორციელება. პოლიტიკური ვენბათა დღევის მოქუფრულ ცაზე გამოანათა 1918 წლის 26 მაისმა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დიდი ხნის ნაოცნებარმა დღემ. მრავალნაბაჩმა ქართველობამ შეაღო თავისუფლების კარიბჭე. მაგრამ განგებამ სხვანაირად ინება, სულ საშოოდე წელი ასუნთქა თავისუფლების ნანატრი ბაერი ისტორიული ძნელბედობით გულგახსნილ ერს. 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა ოკუპაციისა და ანექსიის გზით დაამხეს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონიერი მთავრობა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება.

შვიდ ათეულ წელზე შეტი ხანი მოუწია კომუნისტური წუობილების პირობებში ცხოვრება საქართველოს მშრომელებს. ბუნებრივია, ეს გახლდათ მათთვის ძალად თავს მოხვეული რეჟიმი. რომლის უარყოფითი შედეგები დღეს ყველასათვის ცნობილია.

და აი, ამ საუკუნის 90-იან წლებში—არნახული ისტორიული გარდატეხის ხანა ქართველთა ცხოვრებაში. ზვიად გამსახურდას, ას, მერაბ კოსტავას და სხვა გულუშეშარ მამულიშვილთა ხელმძღვანელობით ისევ ახალი ძალებით აწვირთდა თავისუფლებამოწყურებული ხალხის ნება. ისევ გაცოცხლდა ქართველი ხალხის ეროვნულ-კულტურული და პოლიტიკური ერთიანობის იდეა, ღრმად ფესვებგადგმული საუკუნეთა მიღმა. 1990 წლის 28 ოქტომბერი ახალი ნიშანსვეტია ჩვენი სამშობლოს ისტორიაში, დამარცხებულ იქნა არსებული რეჟიმი და სტლისუფლების საქე ჩაიბარა ეროვნულმა მთავრობამ ბატონ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით. ბედნიერების, შინაგანი სიამყის, შრუანტელის დღეა ეს თარიღი ყოველი ქართველისათვის. ერი ამიერიდან დააღვა დამოუკიდებლობის აღდგენებისა და დემოკრატიული რეფორმების ძღვემოსილ გზას. და ამ არჩევანს ალტერნატივა არა აქვს. 28 მაისს ჩაურილი თესლი კეთილი უცილოდ გამოიღებს სასურველ ნაყოფს. წინ ქვეყნის აღორძინების ნათელი შარაგზა გვიძევს.

1919 წ. ზუგდიდის საქალაქო საბჭო: არჩევნების შედეგები

ქალაქ ზუგდიდის საბჭოს ახალ ხმოსანთა არჩევნები მოხდა 16 მარტს 1919 წ. არჩევნებში მიიღო მონაწილეობა 1,293 ამომრჩეველმა. საერთო რიცხვი ამომრჩეველთა იყო 3,234. შედეგი არჩევნებისა: № 1 სოციალ-დემოკრატების პარტიამ მიიღო 891, № 2 ეროვნული დემოკრატის პარტიამ 482, № 3, სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიამ 109, № 4 უპარტიოთა სიამ არც ერთი, № 5 სოციალისტ ფედერალისტების პარტიამ 310 და № 6 ზუგდიდის მოსახლეთა უპარტიოთა კავშირმა 51, სულ 1,293. ამ რიგად იქმნა არჩეული 20 ხმოსანი.

№ 1 სოციალ-დემოკრატების პარტიიდან: 1. ლეო მიხეილის ძე შენგელაია. 2. გიორგი ნესტორის ძე ჭეღია. 3. იასონ ნიკიფორის ძე მუჭირი. 4. ბაგრატ ივანეს ძე ჩილაჩავა. 5. ანტონ (მამია) მაქსიმეს ძე ანჯაფარიძე. 6. მაქსიმე კონსტანტინეს ძე ვეშუა. № 2 ეროვნულ დემოკრატების პარტიიდან: 7. ილია ილიას ძე დადიანი. 8. იონა მიხეილის ძე მეუნარია. 9. ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე დარსელია. 10. გრიგოლ მიხეილის ძე წელია. 11. ვლადიმერ კონსტანტინეს ძე წუ-

ლემიქირი. 12. ევნათე მახარიაძე ნადარაია. № 3 სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიიდან: 13. მიხეილ ივანეს ძე ბერულავა. 14. ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ბერიძე. № 5. სოციალისტ-ფედერალისტების პარტიიდან: 15. კალისტრატე ასლანაგერის ძე კობახიძე. 16. სოკრატ ივანეს ძე კეშელავა. 17. მეუქსიედემ ისაიორეს ძე კობახიძე. 18. ნიკოლოზ სახას ძე ბუკია. 19. ანდრია ბესარიონის ძე დგებუაძე. № 6. ზუგდიდის მოსახლეთა უპარტიოთა კავშირისა: 20. ტროფიმე გიორგის ძე ჭოხობაძე. რიქე. გავ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ. 23 მარტი. მოგვაწოდა სულიკო ნუსუანიძე







იაკობ გომბაშვილი — 150

ქართული ანბანის ზეიმი სკოლაში

არაან აღამიანები, რომლებიც ფიზიკურად ამ ქვეყნიდან მიდიან, მაგრამ სიცოცხლეში გაწეული ამავით მარადიულ უკვდავებას ინარჩუნებენ, მშობელი ერის სამსახურში. დგანან და მისი ინტერესების დაცვას რიგებში რჩებიან. ამ აღამიანთა რიგებს განეკუთვნება ქვეყნიდან გადისკაცი იაკობ გომბაშვილი, რომლის საიუბილეო დღეებიც ამჟამად სახალხო ზეიმის ხასიათს იღებს სრულიად საქართველოში. ეს შემთხვევითი როლია. გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების მიწურულში ქართველთა შორის წერა-კითხვის განავრცობელი საზოგადოების წესდებამ თავისი ხელით ჩაწერა მუხლი, სადაც თავგამოდებით მოითხოვდა საქართველოს სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების შემოღებას, რამაც სასურველი ნაყოფი გამოიღო. გვიდა ერთი საუკუნე და ქართველ ერს მშობლიური ენის წართმევა დაუპირეს. ამჟერად იაკობის სული ქართული ენის პატრიარქების აკეთ შანიძის, არნოლდ ჩიქობავას, ნათი მოწაფეებისა და მოწაფეთა მოწაფეების, მთელი ქართველი ერის გვერდით ბობოქრობდა. ახლაც ეროვნული გამოღვივების ამკუ-

ღონაყის ქმს, ის გვერდში უდგას მშობელ ერს და მის თანამედროვედ რჩება. იაკობმა დედანა „ეროვნების ბურჯად“ აღიარა, ქართველი ერი მას დედენის სწორუბოვარ ბურჯად თვლის. იაკობისადმი უსაზღვრო სიყვარული ზუგდიდელმა პედაგოგმა მოინახულეს იაკობის მშობლიური მხარე, ქართლის გული, — ვარაიანი, დიდი პედაგოგის სახელმწიფო და სხვა ღირსშესანიშნაობანი. სასწავლებლებში ტარდება გომბაშვილისადმი მიძღვნილი საინტერესო საუბრები, დილა-საღამოები, ლექციები, გამოფენები... ყველა ამ ღონისძიებას თან სდევს ეროვნული გამოღვივების, მისი ახლებური შემართების ელფერი... მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სულისკვეთებით სწავლებისა და აღზრდის იდეები გამოსჭვივდა ამან წინათ ქ. ზუგდიდის მეცხრე საშუა-

ლო სკოლაში (დირექტორი გ. კოტეა) ჩატარებული ზეიმიდან, რომელიც მიეძღვნა ქართული ენის გადარჩენისა და დაცვის ღრეს. ზეიმი მოამზადა ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდისტიმა, მასწავლებელმა ლუდუქი იზორიამ, რომლის შესავალი სიტყვის შემდეგ ზეიმს ხსნის მეხუთეკლასელი ლელა მირცხულავა. ფირსაკრავიდან მოხსნის ერის სათაყვანებელი ნეცნიერის აკაკი შანიძის მკაფიო მოწოდება მოსწავლეებისადმი ქართული ენის შესწავლისა და დაცვის შესახებ. წარმოდგენილ იქნა ლიტერატურულ-მხატვრული მონტაჟი „ოცდაათეტი მშისასხსოვარი იაკობი“, „ქართული ასო-ბგერების ისტორია“, „ანბანთა სახუმარო გასაუბრება“, „ქება ქართული ენისა“. ღონისძიებას თან სდევდა გამახალისებელი ეგიზოდები: რეგუსების საშუალებით წინადადებების შედგენა, გამოკანების გამოცნობა, სასწავლო ხასიათის პლაკატები, ფუნქციონირება სწავლების ტექნიკური საშუა-

ბები. გამომეტყველებით წაიკითხეს პოეტთა ლექსები, მიძღვნილი ქართული ენისა და ქართული ანბანისადმი, ნორჩმა დეკლამატორებმა: ი. ევსიამ, დ. ბეზიაშვილმა, ლ. ლობიჯანიამ, ლ. ქარდავამ, რ. ქარაიამ, ლ. სონგულაძემ, დ. გოგიამ, თ. მიტუხელავამ, ლ. მარგინამ, ი. ქარასანიამ, რ. ევსიამ, რ. კლიფან და სხვებმა. ზეიმის მსვლელობას უძღვებოდა მისი ორგანიზატორი ლ. იზორია. ზეიმის დასასრულს სკოლის დირექტორმა გ. კოტეამ სიტყვით მიმართა მის მოწაფეებს, განათლების განყოფილების წარმომადგენელმა თავის გამოსვლაში მიღიერება გამოხატა სკოლის კოლექტივისადმი ესოდენ გონივრული ჩანაფიქრისა და საგულისხმო კლასარეშე ონისძიებისათვის. შემდგომი წარმატებები უსურვამთ. ქართული ანბანის ზეიმი სკოლებში გრძელდება, რომელიც ამჟერად დიდ იუბილარს ეძღვნება. სრულიად საქართველოს ყოველი მხარე ცდილობს სამახსოვრო სასწავლო უძღვნას ერის მოქალაქის. ზუგდიდიც არ დარჩა ხელცარიელი. ქალაქის ცენტრში, რუსთაველისა

და კოლხეთის ქუჩების გადაკვეთაზე აღმართა ბაზალტის ქვებით გაწყობილი ქარცხლები, სადაც დაიდგება ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული იუბილარის ნატურალური ფიგურა. ზუგდიდელი პედაგოგები ითხოვენ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი ილია წყორის შორიგ ჩამობრძანებას ას ზუგდიდში, რომ აკურთხოს კოლხეთის ეს მიწა და ქართლის მაღლიან მიწაზე დაბადებულს ამ მიწის ტიტული წმინდა იაკობისა, რათა ამ წმინდა ადგილზე ზუგდიდელმა პატარებმა აწერილად უყუთნისმღეს ყოველწლიურად აღნიშნონ ქართული ანბანის დღესასწაული. საყოველთაო დაძაბულობის ამ მიზეზ ქმს ღმერთი წყალობდეს შრავალტარულ ქართველ ერს, ღვთისმშობლის წილხედარ ძირძველ ქართულ მიწა-წყალს, უმღიროსი კულტურის გემო ქართულ ენასა და მის ტკბილობა ანბანს. მ. აბსაძე, ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების მეთოდისტი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, საიუბილეო კომისიის წევრი.

საწარმოს სადღეისო საზრუნავი ქალაქის საწარმოებს ამ ეტაპზე უჩვეულოდ უჭირთ. ამის მიზეზების ახსნას არ შეუძლები. უმთავრესი ფაქტორი ყველას მოეხსენება. დამოუკი-

ვლი დღემდე არ დაადგა. ამან ფაქტობრივად ყოველგვარი დახმარებისა და ყურადღების გარეშე დაგვიკავადესაც ბევრ მასალა-მო-

აკონომიკური სიხალისი

მართლაც „ქველი“...

დიდი ხანი არაა, რაც შეიქმნა საქველმოქმედო საწარმო-კომპარატიული ფირმა „ქველი“, მაგრამ მან მარცხ ბევრი კარგი საქმის გაკეთება მოასწრო. ფირმა, რომელიც ძირითადად ბარტერულ ოპერაციებს ახორციელებს, თავისი არსებობის ხუთ თვეში შეძლო მ მილიონი მანეთის საქონელბრუნვა კერძოდ. დღითიდღე ფართოდდება მისი ეკონომიკური ურთიერთობები როგორც ევროპის, ისე აზიის ქვეყნების მსხვილ ფირმებთან. „ქველის“ მოგების 20 პროცენტი ზუგდიდის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ფონდში ირიცხება. დღეისთვის მას ფონდში გადაარიცხული აქვს 20 ათასი მანეთი. აღსანიშნავია, რომ ფირმამ ზუგდიდის საფეხბურთო კლუბ „ოდიშს“ გადაურიცხა 10 ათასი მანეთი, ხოლო ფეხბურთელებს საჩუქრად გადასცა 20 კომპლექტი უცხოური წარმოების სპორტული კოსტუმები „მონტანა“, ახვევ ეკონომიკური დახმარება გაუწია სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის ზუგდიდის საბავშვო თეატრებს, რომლებსაც 10-10 ათასი მანეთი გადაურიცხა. არც მიწისძვარის შედეგად დაზარებული რაიონებისა და ზემო იმერეთის რაიონები დაზარებულ ფურადღების მთად, მმ ფილი იპონური წარმოების ნაძიფე საბინები გაუწერა ზაფხუ მათ. ფირმამ 105 ათასი მანეთის იმპორტული ტელევიზორები, ვიდეომაგნიტოფონები, მაგნიტოფონები, საკრავი და ხარცები მანქანები გადასცა ქალაქის საავტომობილო ფირმას.

იას აუქციონზე გასაყიდად, მიღებული მოგება მთლიანად გადაირიცხა ქალაქის განვითარების ფონდში. ფირმა „ქველის“ ინიციატივით ქალაქში დაიდგა კოსმოსური ტელეანთა, რის შედეგად ზუგდიდელმა საშუალება ექნებოდა ნებისმიერ დროს უყურონ სხვადასხვა ქვეყნის ტელეგადაცემებს. ასევე ქალაქის ტელეცენტრს ფირმამ გადასცა იპონური წარმოების ვიდეომაგნიტოფონი, რომლის ნაფუძველზე ქალაქს ექება თავისი ტელეგადაცემა. ფირმა „ქველის“ პრეზიდენტია თამ. ზ. ლატარია, რომელიც დიდად არის დაინტერესებული ქალაქის მოწინააღმდეგე ამიტომ სურს აქტიური ეკონომიკურა მონაწილეობა მიიღოს არსებული პრობლემების გადაწყვეტაში. აი, რა თქვა მან: ფირმა სოფელ ორულში აწენებს საქსოვ ფაბრიკას, რომელიც აღიჭურვება იპონური წარმოების მანქანა-დანადგარებით, უკვე ჩამოტანილია 100 ცალი საქსოვი მანქანა და მალე დაიწყება მათი დამონტაჟება. განზარალებული გ ვ ა ქ ვ ს წლის ბოლომდე ჩვენი საქონელბრუნვა მ მილიონ მანეთამდე ავიყვანოთ, ეს კი ხელს შეუწყობს საქმისიო გვიგნის შესრულებას. ფირმას თავისი სავალუტო ანგარიშიც აქვს გახსნილი საქართველოს საგარეო-ეკონომიკურ ბანკში. როგორც ვხედავთ, ფირმა „ქველის“ კარგი ბერძნულია აქვს. ჩვენც ვუსურვებთ წარმატებებს თავის საქველმოქმედო არეალში. მ. მუხინაძე.

ხსნის გზები უცილოდ გამოინახება

დებლობის გზაზე დამდგარი საქართველოს პარალიზებული ეკონომიკა შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებს. სახალხო მეთურნობაში საშურია ახალი მოდელებისა და სტრუქტურების დანერგვა. ამ მხრივ მუშაობა ადვილებზე მტრ-ნაკლები ინტენსივობით მიმდინარეობს. მაგრამ სამეთურნო ანგარიშზე გადასვლა, დამოუკიდებელ საწარმოო ერთეულად ჩამოყალიბება არც თუ ისე ფოლი შეიქმნა. კოლექტივის წინაშე მდგარ სადღეისო აქტუალურ საკითხებზე, შექმნილი სიძნელეების გარღვევის ოპტიმალურ გზებზე ვეფსაუბრება კოლმერატული საწარმო-ზუგდიდის სარემონტო-მექანიკური კომბინატის დირექტორი ბ. მუხომლორძინი: — პირველი შეკითხვა ალბათ მიგინდობა წლის ჩანის სეზონისათვის მზადების საკითხს უნდა დავუპასუხოთ. რა რეალური სურათი იხატება ამ მხრივ? — ამთავითვე ვიტყვო ერის არსებით მომენტზე, რომელიც ჩვენი წარმოების წინსვლის გზაზე მოუთმენედ ხერგილად იქცა. ჩვენი ზემდგომი ორგანოს — საქსანგრომრეწვის რეორგანიზაციის ტყიობის საშ-

წყობილობაზე რესურსების გამოყოფის საკითხი მოუგვარებელია, იქმნება რაღაც პარადოქსული სიტუაცია: სახალხო ეკონომიკა არ ამოქმედდა, სისტემა კი გაიყინა. ეს ფაქტორი მნიშვნელოვანად გვირტყამს. მაგრამ, ჩვენ ფარხალი არ გადავიყვარა. ყველაფერს ვღონობთ საიმისოდ, რომ საქირო მასალების მოსაძიებლად რაღაც გზები და არხები გვეპოვან, რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ გამოინახა პარტნიორები, რომელთანაც ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე ვახერხებთ საკითხების პრაქტიკულად გადაწყვეტას. მიმდინარე წლის ოთხი თვის გვემოური მოცულობების შესრულება მოხერხდა. ამ მხრივ მაღლიერების გრძელბით ადენიშნავდი მექანიკური საამქროს, მავთულბაღის უბნის, თაღვანი კონსტრუქციების საამქროს და სხვათა მონდობენულ მუშაობას. ძირითადად შეეძლოთ ჩაის ფაბრიკების წინა სეზონური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სათაძარკო ნაწილებით, არასტანდარტული მოწყობილობებით, საამონტაჟო საშუალებებით. თუ რამ სასაყვედურო აქვთ, მირველ რიგში ეს გამოწვეულია ცალკეულ სახიობათო კერძო დექტორძრავების და ტრანსპ-

ორტიორის ლენტების დეფიცით, რაც ვერ მოგვაწოდებს. — გვინდობა მსახი, მმარტმელოვის ახალი მოდელი რა რეალურ შედეგებს იძლევა? — წარმოების შიდა სტრუქტურულ ცვლილებებზე ჩვენ ამ ორი წლის წინათ ავიდეთ გავი. ყველა საამქრო და უბანი სამუდარო ანგარიშზეა. ეს ხელშესახები ბერკეტი ვამდგა. მუშებმა თვითონ აიღეს ხელში მართვის სადავეები. ამოქმედდა თვითღისციპლინის, თვითკონტროლის მექანიზმი. ამ ფორმით მუშაობას გარკვეული ეკონომიკური სტიმულები გაჩნია. საწარმოს ნაცადი კოლექტივი ყველა წაირად ცდილობს წარმოქმნილი სიძნელეების კვლობაზე გამოსატოს მუშაობის ოპტიმალური გზები, სხვა დანარჩენს მომაგალი გვიჩვენებს. — ბატონო ანგორ, იმპი ბრგვარაბა იმპი, რუმ მიწისკვრით იმპიბმინდი ძარტული რევიონეანის ტრაპედიმთავენ კოლმამბისსაც ტაიმა. როგორ ხამონამაშარატი მთამთა უხამარაბას? — ტრაპედიის მეორე დღემდე შეიქმნა დამარბინ შტაბი, ოცტონიანი ავტომაქსამა დაიკვართა სხვადასხვა ნაწილები. დამსახრებით, რეშილის დარბუნლება ზუთი ათასი მანეთია, გარდა ამისა საწარმოს მუშა-მოსახსაზურებმა დაზარალებულთა დახმარებლად შეგაროგეს ათი ათასი მანეთი. ღმერთმა უშეალოს გაჭირვებაში ჩავარდნილ ქართველობას. ჯ. თაღნი.



